თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წევრის

ლევან დავითაშვილის ანგარიში

2024 წლის
ანგარიში

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
- ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი;
- ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი

❖ ფ რ ა ქ ც ი ა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -

მე-7 მოწვევის საკრებულოში, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს და ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს: ქ. თბილისის მოსახლეობის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გარანტირებული უფლებების განხორციელება; დემოკრატიული ღირებულებების, საერთო–სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა; მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის მკაცრი კონტროლი, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის განსაზღვრა და მის განკარგვაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სადაც განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ფრაქციის ფორმატში კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ თბილისის მერთან და დედაქალაქის მთავრობის წევრებთან, სადაც ხდება მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

საანგარიშო წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით), ფრაქციას ჩატარებული აქვს **19** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა **43** საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება და გეგმაზომიერად იხარჯება ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად და მოქალაქეების ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. დედაქალაქის ბიუჯეტი 2023 წელთან შედარებით გაიზარდა და 2 058 335,6 ლარია. ცხადია, წელსაც პრიორიტეტულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ჯანდაცვა და სოციალური პროექტები, ინფრასტრუქტურული და გარემოს დაცვითი ღონისძიებები.

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 14 სხდომა, მიღებულ იქნა 675 განკარგულება და 113 დადგენილება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე:

www.sakrebulo.gov.ge

➢ ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია-კომისიის წევრი

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე ჩატარდა კომისიის 14 სხდომა, განხილულ იქნა 93 საკითხი, მათ შორის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულს დადგენილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ

„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ წარმოდგენილი პროექტები.

➢ ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის წევრი

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე ჩატარდა ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 24 სხდომა, სადაც განიხილეს 334 საკითხი. მე დავესწარი 23 ხდომას. ყურადღება გამახვილდა 2024 წლის ბიუჯეტზე. აღსანიშნავია, რომ დამტკიცებული ბიუჯეტი 1 673 354,7 ათასი ლარი გაიზარდა 295 000.9 ათასი ლარით და დღეისთვის შეადგენს 2 058 355,6 ათას ლარს.

ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტები მოიცავს წერეთლის გამზირის, უნივერსიტეტი-ბაგების დამაკავშირებელ ხიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციას. დაფარულია ვალდებულების ნაწილი 160 ერთეული 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად 2023 წლის 15 ივნისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილი და 2024 წლის 16 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით 40 ერთეული CNG ძრავზე მომუშავე 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენაზე ხელშეკრულებით ნაკისრი საავანსო ვალდებულება.

დაახლოებით 30 ობიექტზე განხორციელდა ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები, გრძელდება ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. 4 ობიექტზე თბილისის განვითარების ფონდის მიერ მიმდინარეობს სამშენებლო და პროექტის ზედამხედველობის სამუშაოები, 18 ობიექტზე კი საპროექტო სამუშაოები. მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობა. გაიხსნა 5 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი, 12 ბაგა-ბაღის შენობას ჩაუტარდა სრული განახლების სამუშაოები.

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების პროექტის ფარგლებში 173 ოჯახს, რომლებიც ხანგძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ 1 ლარად გადაეცათ ქონება.

კოოპერატიული და დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დასახმარებლად მიღებული გადაწყვეტილებების ფარგლებში დაიწყო 6 ახალი სამშენებლო პროექტი.